ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 253
1877

ივერია

№ 253
1903

ნოემბერი 27, ხუთშაბათი 1903 წ.

ნოემბერი 27, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

რედაქციისაგან

უმორჩილესადა ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ დეკემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 1 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოავწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე **სურათი**, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სამსონის ძე მომცემაძე.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664.808 მან.

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, რკებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან- სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას„**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—ნ.—6)

წარმოდგენა № 24. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს 1903 წ.

ქართველ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

პირველად ქართულ სცენაზე

ხალხის მტერი

ანუ

ექიმი შტოკმანი

დრამ. 5 მოქმ. ჰ. იბსენისა, თარგ. პოლუმორ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ელ. ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი: გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, გ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, ვ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად კ. მესხის საბენეფისოდ «რუსთაველი».

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს 1903 წ.

ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

პაიაცი

ოპერა 2 მოქ. მუსიკა ლეონკავალოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: არციბაშევა; ბ-ნნი დარსკი, სელიავინი, გლადკოვი, ევლახოვი, გრინევი.

II

სელსკაია ჩესტ

ოპერა 1 მოქმ., მუსიკა მასკანისა.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ხვალ, პარასკევს, 28 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება «ჟიზნ ზა ცარია» ეპილოგით. ოპერა 4 მოქ., მუსიკა გლინკასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: კარტავინა, კალინინა; ქ-ნნი: სელიავინი, სანგურსკი, გავრილოვი, გრინევი.

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნაკი

კრება ანუ ბიბლიოთეკის დაარსება

სატირა-პოემა კ. მაყაშვილისა

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ქალაქში, ქუთაისში და ბათომში და სხვ.

ფასი ორი შაური.

10 7.

გამოვიდა და იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», „გუტენბერგის“ სტამბაში და ქუთაისს მ. ლაღიძესთან

ორი პუბლიცისტიური წერილი

თ-დის აკაკი წერეთლისა.

ფასი ორი შაური.

(10—10)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მოლინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—ღოსტაქრობა და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ვ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი, 27 ნოემბერი.

ამ ზაფხულს ტფილისში იყო მეთორმეტე კრება კავკასიის სამოსწავლო ოლქის საერო სასწავლებელთა და საოსტატო სემინარიების დირექტორთა და ინსპექტორთა, ოლქის მზრუნველ ბ-ნ მ. რ. ზავადსკის თავმჯდომარეობით. სხვა-და-სხვა საგანთა შორის კრებას ჰქონდა სჯა იმაზედ, თუ რა ღონისძიებაა საჭირო საერო მასწავლებელთა ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებისა და საპენსიო კასსის დაარსებასთან ერთად ჩამოვარდა ლაპარაკი სამარხ კასის დაარსების შესახებაც საერო მასწავლებელთათვის. აღმოჩნდა, რომ სამარხი კასა უკვე არსებობს ყუბანისა დ ბაქოს დირექციაში, მაგრამ რადგან ჯერ რიცხვი წევრთა მცირეა, და საწევრო ფულიც ცოტას შეაქვს, ამიტომ კასა შემწეობასაც მცირედს იძლევა; სასურველია, მოეწყოს კასა უფრო ფართო საფუძველზედ და მონაწილეობაც ყველამ მიიღოს.

მასალის შეკრება ამ გვარ კასის მოწყობისათვის და მისის წესდების პროექტის შედგენა მიენდო ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა ინსპექტორს ბ-ნ კ. ი. პერევოზნიკოვს; შემუშავებული პროექტი შემდეგ წარედგინება მზრუნველის მიერ გასასინჯავად კომისიას, შემდგარს სხვა-და-სხვა სასწავლებელთა წარმომადგენელთაგან.

საჭიროა, რომ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა მასწავლებელნი ერთად შეერთდნენ და დაიარსონ ამ გვარი კასა. ორისავე გუბერნიის მასწავლებელნი იქმნებიან რიცხვით 800 ზედ მეტი და რვაასი მანეთი შემწეობა მიეცემა გადაცვალებულის წევრის ოჯახს; ასეთი შემწეობა სწორედ დიდი დახმარება იქნება ჭირისუფალთათვის.

დროა ყველა მასწავლებელმა შეიგნოს სარგებლობა ამ გვარის კეთილის დაწესებულებისა, გამოიღვიძოს და ხმა ამოიღოს იმის დაარსებისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, ბ-ნი პერევოზნიკოვი მალე დაამთავრებს პროექტის შედგენას და გადასცემს, სადაც ჯერ არს.

ტფილისი

ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში ძველ ხელნაწერებს შორის უპოვიათ „ვეფხის ტყაოსანის“ ვარიანტი, რომელიც გადმოწერილი ყოფილა ძველ, არტანუჯიდან განგებ მოტანილ ვარიანტიდან. ამბობენ, ეს „ვეფხის ტყაოსანი“ შესამჩნევად განსხვავდება დღევანდელ ტექსტისაგანაო.

საფაბრიკო ინსპექციას მოლაპარაკება აქვს ტფილისის ფაბრიკების და ქარხნების პატრონებთან იმის შესახებ, რომ გაუმჯობესებულ იქმნეს მუშათა მდგომარეობა სანიტარულის მხრივ. ეს აუარებელი მუშა ხალხი მოკლებულია ამ ჟამად ყოველგვარს სამკურნალო დახმარებას. საფაბრიკო ინსპექცია წინადადებას აძლევს მეფაბრიკეებს, ტფილისში დააარსეთ თქვენს ხარჯზე საავადმყოფო მუშათათვისაო. სამკურნალოში უნდა გაიმართოს საწოლი 45 კაცისათვის. სამკურნალოს მოწყობას დასჭირდება პირველად 40,000 მ., ხოლო შემდეგ ყოველ წლივ 12,000 მანეთი. ეს ხარჯი დიდი არ არის, თუ ფიქრად ვიქონიებთ იმას, რომ საავადმყოფოს დასაარსებლად ფულს გადაახდევინებენ მხოლოდ მდიდარ მეფაბრიკეთ.

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე 1 დეკემბრიდან შიო მღვიმის მონასტერში იქმნება მოსასვენებლად.

ამას წინად ქალაქის საფინანსო კომისიამ ქალაქის გამგეობაში აღძრა საკითხი ქალაქის გამგეობაში საკონტროლო განყოფილების დაარსების შესახებ. ხმოსანი ა. ბაბოვი შეეკითხა ქალაქის გამგეობას, ეს საკითხი როგორ გადასჭერითო. ქალაქის გამგეობამ აცნობა ამ საკითხის შესახებ ვამზადებთ საგანგებო მოხსენებას, რომელსაც მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის საბჭოს წარვუდგენთო.

რამდენისამე წლის წინად ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს სასანიტარო-სამკურნალო საბჭოსთან ერთად შეუმუშავებია განსაკუთრებული წესდება ქალაქის სახლებსა და ეზოებში სისუფთავის დაცვის შესახებ, მაგრამ ეს წესდება ძალაში არ შესულა. სამკურნალო ინსპექტორი სტეფანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, ეს საგანი ყურადღების მიქცევის ღირსია და ამიტომ ჩემ მიერ შემუშავებული წესდება ქალაქის საბჭოს წარუდგინე განსახილველადაო.

პირველ დეკემბრიდან ტფილისის მიკროსკოპიული სადგური დაიწყებს დაკლულ ღორების გამოკვლევას. პრეპარატისტთა დ მიკროსკოპისტთა გამოსაცდელი ეგზამენი ამ დღეებში იყო. მიღებულ იქმნენ ჯერ-ჯერობით ოთხი მიკროსკოპისტი და ექვსი პრეპარატისტი. შემდეგ მოსამსახურეთა შტატი კიდევ უნდა გააფართოვონ.

ვისაც რკინის გზაზე მდაბალ აგენტად შესვლა უნდა, მან უნდა წარუდგინოს რკინის გზის გამგეობას მოწმობანი იმის შესახებ, თუ სად არის მონათლული, სად მსახურებდა წინად და ან კეთილსაიმედო კაცია თუ არა.

სოფელ ავლევში, გორის მაზრა, არის სამკურნალო, რომლის გამგეთაც დაუნიშნავთ ექიმი პაპიკიანცი. სამკურნალო დაარსებულია სოფლის საზოგადოების მიერ.

გუშინწინ, 25 ნოემბერს, ინჟენერმა ხატისოვმა და ბრაილოვსკიმ წარუდგინეს ტფილისის ქალაქის გამგეობას გეგმა მათ მიერ განზრახულ სოლოლაკი გვირაბისა. ინჟენრები სთხოვენ ქალაქის გამგეობას, დანიშნეთ სატეხნიკო კომისია გეგმის განსახილველადაო.

ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში გაუგზავნა ტფილისის პროფესიონალურ დედათა სასწავლებლის დირექტრისას საგანგებო კომისიისაგან შემუშავებული პროგრამა, რომლითაც ამ სასწავლებლის გამგეობამ უნდა იხელმძღვანელოს.

სოფ. თამარაშენის, გორის მაზრა, მცხოვრებ თავად მაჩაბლის წისქვილს ცეცხლი გაჩენია. ცეცხლი წისქვილიდგან გადასულა მაჩაბლის სხვა შენობებზე. ზარალი 1578 მანეთია.

ხელოსანთა მოურავმა რაფაელოვმა განკარგულება მოახდინა, ხელოსანთა საქმეების გარჩევის დროს სხვა-და-სხვა ამქართა ოთხი მამასახლისი უთუოდ გამოცხადდესო.

თექვსმეტი წელიწადია, ბაბაიანცი მეპურეთა მამასახლისად არის და ამ ხნის განმავლობაში ქალაქის გამგეობისათვის არაფერი ანგარიში თავის ამქრისა არ წარუდგენია. ხელოსანთა მოურავი რაფაელოვი სთხოვს ტფილისის პოლიცმეისტერს, გადაახდევინე ბაბაიანცს თექვსმეტის წლის განმავლობაში ამქრისაგან შეკრებილი ფული და მოქალაქეთა გამგეობას გადაეციო.

სულით ავადმყოფთა თავშესაფარის სადგომი, რომელიც ქირით არის დაჭერილი, ამ ჟამად ძალიან დაძველდა, ასე რომ საჭიროა სხვა სადგომში გადატანილ იქმნას თავშესაფარი. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, განიხილეთ სასანიტარო სამკურნალო საბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი სულით-ავადმყოფთა თავშესაფარისთვის საკუთარ შენობის აგების შესახებაო.

კარგა ხანია ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიზრახა ტფილისის ზოგიერთ ქუჩების განათება ელექტრონით, მაგრამ ეს განზრახვა ოცნებად არის დარჩენილი დღემდე: ახლა ხმოსანი ინჟენერი კირაკოზოვი შესდგომია ახალ პროექტის შედგენას. კირაკოზოვს განზრახვა აქვს თავის პროექტში გამოარკვიოს, თუ რომელ სისტემით უფრო შესაძლებელი იქმნება ელექტრონის ძალის მოკრება ქუჩების გასანათებლად.

გუშინ წინ ტფილისის პოლიცმეისტერმა გაუგზავნა ტფილისის ქალაქის გამგეობას პროექტი იმ საგიმნასტიკო ადგილისა, სადაც უნდა ივარჯიშონ ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსამსახურეებმა.

გუშინ-წინ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ტფილისის ქალაქის თავს, სისრულეში ნუ მოიყვან ტფილისის საბჭოს დადგენილებას ბეჭდვითი სიტყვის ორასი წლის იუბილეის აღნიშვნის შესახებაო.

მოკლე ხანში ტფილისის ქალაქის გამგეობა დანიშნავს კრებას, რომელზედაც არჩეულ უნდა იქმნას საერობო და სახელმწიფო გადასახადთა გამნაწილებელ კომისიის ერთი წევრი. ეს წევრი უნდა იქმნეს არჩეული ნაცვლად ახლად გარდაცვალებულ წევრის ი. ა. თაიროვისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა სტეფანოვმა წარუდგინა სამკურნალო საბჭოს მიერ მოწონებული მოხსენება ტფილისის ქიმიურ ლაბორატორიასთან ბაქტერიოლოგიურ განყოფილების დაარსების შესახებ.

27 ნოემბერს კრება ექმნება ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას.

ჩვენებური ამბები

ქ. ოზურგეთი 21 ნოემბერი. ამ ბოლოს დროს აქ მშვენიერი დარი დაიჭირა. ორ კვირაზე მეტია, სულ მზიანი დღეებია.

ჯარის კაცების კენჭის ყრა გათავდა 16 ნოემბერს. ამას წინად გწერდით: „ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონი ჩამოაშორეს ოზურგეთს-მეთქი" მაგრამ შეცდომა მოგვივიდა ლანჩხუთელებმაც წელს აქ იყარეს კენჭი!..

დადგა თუ არა ქრისტეშობისთვის მარხვა, აქაურმა «მებუტკეებმა», თუ სადმე დამპალი თევზი იყო, სულ აქ ჩამოზიდეს, და ჰყიდიან, როგორც უნდათ!... ვინ ჰყავს დამშლელი...

არავითარი წესი და ნახრი არ არსებობს ზოგიერთ საჭირო სანოვაგესათვის, მაგალითად, წარსულ კვირას ნავთის საწყობებში ნავთი გამოილია და, ვისაც ჰქონდა დუქნებში, მაშინვე ფასი აუწიეს გირვანქას 6—7 კაპეიკამდე! მე თვითონ დავესწარი, რომ ერთმა მეწვრილმანემ გირვანქა ნავთი 10 კაპ. ნაკლებ არ გაყიდა!

ოზურგეთის ქალაქის მოურავი აცხადებს, რომ ქუთაისის გუბერნატორის ბრძანებით, ქალაქის რწმუნებულების არჩევნები 1904—1909 წლებისთვის, მოხდება მომავალ 1904 წლის მარტში, და სთხოვს მემამულეთ, მათზე დარჩენილი გადასახადი 15 დეკემბრამდე შემოიტანონ, რადგან ამომრჩეველთა სია მაშინ უნდა შესდგეს; ვისაც მამულებზე გადასახადი გადაუხდელი დარჩება, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებსო.

უსუფ-ალა.

ქუთაისი. ამ წლის ხშირად ვკითხულობ თქვენს პატივცემულ გაზეთ «ივერიის» ნომრებში კახეთის მევენახეთა საზოგადოების შესახებ. მაგრამ, რაც უნდა თქმულიყო, ის-კი უთქმელად დარჩა. ეტყობა იმ წერილების ავტორები არ არიან დამკვეთნი კახეთის ღვინოებისა და არც ღვინის ვაჭრები, თორემ შეუძლებელი იყო არ ეთქვათ რამე იმ მიუტევებელ ცოდვებისა გამო რომელიც ხშირადვე იცილებენ კახეთის მევენახეთა გამგე მაწარმოებელნი.—

ჩვენ აღებ-მიცემობა გვაქვს კახეთის მევენახეთა საზოგადოებასთან და ვიწერთ მის ღვინოებს, რომელსაც წელიწადში გვსადებთ არა ნაკლებ ხუთასის ვედრისა რადგანაც ძველს ღვინოს არ გზავნიან, ახალი ადრე იჭრება და ამისათვის თითო დაკვეთაზედ ვთხოულობთ მხოლოდ 25—30 ვედროს.

თითქმის ყოველ გამოგზავნაზედ კანტორას შეცდომა მოსდის, მაგალითად, სწერთ ორ ნომრიან ღვინოს გიგზავნის პირველ ნომერს; სწერთ პირველ ნომერს—გზავნის მეორეს. უგზავნით ბოჭკას და სთხოვთ ჩასხას შენს ბოჭკაში, ის მაინც გაწერს ბოჭკის ფასს, მიუხედავად იმისა, რომ შენ ბოჭკა გაუგზავნე. ასეთი შეცდომა თითქმის ყოველ ღვინის დაკვეთაზედ მოსდის და, რასაკვირველია, ასეთი არევ-დარევა საქმეს ძლიერ ავნებს. სასურველია და საჭირო მეტი ყურადღება და მეტი გარჩვა, თორემ ესეთი შეცდომა ერთი ორად გადიდდება. თუ ეს ამბავი საეჭვოდ მიაჩნია ვინმეს, შემიძლია დავასახელო ყველა ღვინის გამომწერლები ქუთაისში,—იმათ ეკითხეთ. მე ეს შემიძლია ვსთქვა თამამად, რომ ორმოც ფირმასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ასე უწეს-რიგოდ და უთავბოლოდ არც ერთი სავაჭრო კანტორა არ იქცევა, როგორც კახეთის მევენახეთა საზოგადოება. მე მგონია, საზოგადო საქმის წეს-რიგი უფრო გარგად უნდა წარმოებდეს ვიდრე კერძო სავაჭროებისა.

მ. რ.

წერილები ბათუმიდგან

(წერილი მეორე)

როდესაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას უკვირდებით, ნათლად ჰხედავთ, რომ ყოველი საზოგადოება, ყოველნაირი წრე ინტელიგენტურია თუ არა, ჩაფლულია ვიწროდ შემოფარგლულ კერძო, საკუთარს „მე"-ს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ზრუნვაში. ძალიან დაკვირება უნდა, რომ შეამჩნიოთ კერძო ან საზოგადოებრივი მოვლენა, მოკლებული ამ ხასიათისა...

ადამიანი თითქო „ბოროტების" აგენტია, ყოველივე ჩასჩიჩინებს გარშემო: თუ არავინ დასჩაგრე და სხვისი ძალა-ენერგია არ გამოიყენე—„ფული" არ აიღე, სიცოცხლეს ვერ განაგრძობ, ცხოვრების სარბიელიდგან უნდა გადადგე .. ადამიანიც ემორჩილება ცხოვრებას, რომლისათვისაც ბევრი ძალა დაუხარჯავს მას და ამნაირად ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისტორიისაგან შერცხვენილს, უარყოფილს „მონის" როლს..

ავიღოთ მაგალითისთვის სასწავლებლების გარეთ დარჩენილი ბათუმის ახალგაზრდობა.[1] სიღარიბისა გამო ბევრი ახალგაზრდა: იმერელი, გურული, მეგრელი აწყდება ბათუმის სავაჭრო სახლებს. აქ გულ უხვი მასპინძლივით უხვდებიან და იღებენ შეგირდებათ, ნოქრებათ თითქოს რამე უნდა ასწავლონო. ნამდვილად-კი უკანასკნელ სისხლის წვეთსა სწოვენ. ან-კი რა უნდა ასწავლონ ფაბრიკა-ქარხანაში და სავაჭროებში? ახალგაზდა ყმაწვილების გაჭირვებულ მდგომარეობით ისინიც სარგებლობენ და იწირვენ მსხვერპლად ბევრს სიცოცხლით სავსეს, ნიჭით დაჯილდოვებულ ყმაწვილს.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც თვითცნობიერების სხივმა შეაშუქა უსწავლელთა შორისაც. ამ თვითცნობიერებამ ბევრი დააფიქრა, ბევრს ჩამოხადა პირბადე და მთელის სიგძე-სიგანით გამოაჩინა მათი „ფიზიონომია", ბევრი იძულებული ჰყო ცოტაოდენად მაინც გადადგომოდა საკუთარს, პირადს ინტერეს... სწორედ სასიხარულოა.. (მაგრამ რამდენადაც ეს სასიხარულოა, იმდენად შეიძლება უფრო მეტადაც), შემაძრწუნებელია ბათუმელი ნოქრების აუტანელი მდგომარეობა. უკანასკნელ წლებში ლაპარაკი იყო (მაგ. ქალაქის თვითმართველობაში) ნოქრების მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის, მაგრამ ამნაირად მიმართულმა საქმემ ვერაფერი ვერ გააკეთა. მხოლოდ ზოგიერთ დიდ სავაჭრო სახლებში, რომლის რიცხვი ძალიან ცოტაა, ოდნავ განკარგებულ იქმნა ყოფა-ცხოვრება ნოქართა. დანარჩენ უმრავლესობის მდგომარეობა ისევ ძველებურად გაჭირვებულია. წარმოიდგინეთ, ახალგაზდა, რომელიც დილის 5 საათზე დგება, აღებს დუქანს, წმენდს იქაურობას, მუშტარს იღებს და ისტუმრებს და ამნაირად შეუსვენებლივ (სადილიც ზეზე უნდა ჭამოს, თუ აჭამეს) ატარებს დროს საღამოს 11—12 საათამდის; ან კიდევ წარმოიდგინეთ პატარა ყმაწვილი, რომელიც აზიურ ან ევროპიულ თერძის სამკერვალოში 17—18 საათს დღე-ღამის განმავლობაში დასჩერებია დამჯდარ-მოკუზული ნემსს და კიდევ წარმოიდგინეთ იგივე ყმაწვილი ფქვილში თავიდან ფეხებამდის გასვრილი, რომელიც ფურნესთან იწვის იმდენსავე ხანს დღე და ღამეში... თითქმის ყველა ნოქრები ასეთ მდგომარეობაში არიან აქ და ისიც იმ დროს, როდესაც ჯერ ისევ ზრდაშია და მეტი შეღავათი ეჭირვება, რომ საღ ადამიანი დაბერდეს, როცა საჭიროა გონების განვითარება, რაიმე საზრდო სულისათვის..

როდის გაიგებს ჩვენი საზოგადოება, რომ ასეთი მდგომარეობა შემარყეველია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა? ჩვენ კარგად ვიცით, რომ თუ გვინდა გვყავდეს კარგი საქონელი ან ფრინველი, საჭიროა მათი კარგი ჭმევა, კარგი კვება და მოვლა... ის-კი არ ვიცით ან არ გვინდა ვიცოდეთ, რომ ახალგაზრდობისთვისაც საჭიროა პატრონობა, კარგი აღზრდა.

თეოფ. ბესარიონიძე

რუსეთი

20 ნოემბერს სადღესასწაულო აქტი იყო სამხედრო სამკურნალო აკადემიაში. სამხედრო მინისტრმა გენერალ-ადიუტანტმა კუროპატკინმა სიტყვით მიმართა ახლად კურს-დამთავრებულთ. სხვათა შორის უთხრა: ახალ წესის წყალობით ბევრი თქვენგანი დიდ ქალაქებში იცხოვრებს. ზოგს-კი შესაძლოა ყრუ ალაგსაც მოუხდეს ცხოვრება, მაგრამ იქაც უნდა ეცადოთ წესიერი ურთიერთობა გქონდეთ იმათთან, ვისთანაც იმსახურებთ. ნუ იქმნებით გასწორ-გასწორანი და მკვეთრნი, ისე მოიქეცით, რომ თქვენს ცოდნას დიდად აფასებდნენ. მე მოწამე ვარ, რამდენს ეცადა თქვენი მთავრობა, პროფესორობა და მტკიცე ხასიათის ამხანაგობა, რომ გადაერჩინეთ იმ უბედურებას, რომელსაც ვერ ასცდნენ თქვენი ამხანაგები სხვა სასწავლებლებში. იქმნება ისინიც თქვენსავით საიმედონი იყვნენ და იმ უბედურებას-კი ვეღარ ასცდნენ, რომელმაც, ვინ იცის, იქნება სამუდამოდ მოუსპო შეძლება კარგ ადამიანად ყოფნისა. ის განსაცდელი, რომლიდანაც თქვენ გამარჯვებულნი გამოხვედით, გამოგაფოლადებდათ, გამოგაბრძმედებდათ და ცხოვრებაშიაც ახლო ადვილად გაუძლებთ ყოველ-გვარ ჭირსა და ბრძოლას. ნუ დაეცემით სულით და ნუ მოჩოფორთდებით ნურავითარ გარემოებაში, არამედ იყავით განმკურნველნი ჯარის-კაცთა და ახალ-გაზრდა ოფიცერთა არა მარტო ჯანისა, არამედ სულისაც.

— განზრახვაა გასჭრან არხი თეთრს ზღვასა და ონეგის ტბას შორის 200 ვერსის მანძილზედ. დაჯდება 12 მილიონი.

— საერო განათლების სამინისტრო

ფელეტონი

კოლა მშველიშვილი

(მოთხრობა)

(შემდეგი *)

X-ს ნაწილის დროებით ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი გარსევან დურმიშხანოვიჩ ხამელიევი, როგორც ოფიციალურად უწოდებენ, ხორხიანის წამოსადეგობის, მაღალ-მაღალი, ფერხორციანი, მხარ-ბეჭ მდიდარი ვაჟკაცია. გრძელი დაწკეპილი ულვაშები და დიდრონი, შავი, გადმოსავარდნზე წამომსხდარი თვალები გარსევან დურმიშხანოვიჩის გამომეტყველებას მეტს ელფერს, ძალას ჰმატებს. სასწავლებელში გარსევანს ამხანაგები ხუმრობით კაცი ნახევარს—„პოლტარა ჩელოვეკ"-ს უძახდნენ, სიმაღლე-სიზორბავისა გამო. პატარაობაში გარსევანსაც ბევრი კარგი დღე უნახავს, სიმდიდრე, ფუფუნებით ცხოვრება. როდესაც ამისი მამა აზნაურშვილი კიაზო მამა-პაპათაგან გადარჩომილ შეძლებას, სამკვიდრებელს ანიავებდა ბზესავით ღვთის წყალობა მოგეცათ, მაშინ გარსევანიც სარგებლობდა თავისის ოჯახის დაუზოგველობით, ბედოვლათობით. გარსევანს ჯიბე ფულით ჰქონდა სავსე და, გაკვეთილებს შემდეგ, მთელ დღეს დროებასა და ქეიფის გატარებას უნდებოდა თავის რჩეულ ამხანაგებით. ბევრჯერ დაუპირეს ამ მოქეიფე კრებულისათვის კუდით ქვესროლინებინათ სასწავლებლიდამ, მაგრამ კიაზოს პატივისცემა ყელში ამოჰყუყქებდათ და აბა რა იქნებოდა. კიაზოს ოჯახს ხომ მით წიხლს არ დასცემდნენ. ის იყო კუდით სათრევ ხარივით მიღონღიალდა სამაზრო სასწავლებლის გათავებამდის გარსევანი, რომ კიაზომაც თქვენი ჭირი წაიღო. ისედაც სწავლაზე გული ჰქონდა აცრუებული გარსევანს, ახლა, მამის სიკვდილს შემდეგ, ხომ სულაც აღარ უფიქრნია, გუნებაშიაც არ გაუვლია, გაეტარებია სწავლის განგრძობა საშუალო სასწავლებელში. რას იზამდა ამ სწავლა—ავლა-დიდების პატრონი? გარსევანი შევიდა სამაზრო სამმართველოში მწერლად, რადგანაც შინ ძალიან აღარაფერს შეუჭამდა და კატა. ამათ სახლისათვის რომ გრძელი ფიჩხი მოგესვათ, ხელში არა მოგხვდებოდათ რა. რაც რომ კიაზოს შესაჭმელი გადარჩა სიცოცხლის დროს, მის დამარხვა ქელეხს, ჭირისუფლობას მოუნდა. თავისის ახოვანებით გარსევანმა მალე დაიმსახურა უფროსის ყურადღება. ამას შემდეგ გარსევანი უფროსების მახლობელი შეიქმნა, მათი მესაიდუმლე, განსაკუთრებულ მინდობილობათა აღმასრულებელი მოხელე. ახლა-კი გარსევანს ხატივით ჩაესვენა გულში იმედი ბოქაულად გახდომისა. ამიტომ გადასწყვიტა გარსევანმა ცოლის შერთვა. არც თუ ვინმე გასათხოვარი ქალი დაიწუნებდა გარსევანს. ჯერ ისეც გიჟდებოდნენ გარსევანისათვის და ახლა, როდესაც ყველანი ჰხედავდნენ გარსევანის დამოკიდებულებას უფროსებთან, ეჭვი ვიღას ექნებოდა, რომ გარსევანთან ბედნიერად იცხოვრებდნენ. ამის სიღარიბეს, გამოფარღალალავებულ სახლს ვიღა უყურებდა. ყველა ქალებს გარსევანმა აზნაურ საყვარელიძეს თინა ამჯობინა. ბევრი მთხოვნელი გაუბრუნებია თინას გულდათუთქული. „მე თუ შევირთავ ქმარს, ან აფიცერი, ან პრისტავი უნდა იყოსო", ეუბნებოდა ყველს თინა. გარსევანზედაც იმიტომ დააკვრევინეს პირი, რომ დაარწმუნეს: „ქალო, დღეს თუ ხვალ, უსიკვდილოდ პრისტავი გახდებაო". თუმცა ჯვარისწერის შემდეგ ბევრმა კვირამ, თვეებმა გაირბინა, ჩაილურის წყალი დალივა, მაგრამ გარსევანის გაპრისტავებას აღარა ეშველა-რა. მხოლოდ გარსევანმა შემდეგი უამბო ცოლს, გახარებულის გულის ფანცქალით, როდესაც, უფროსის სახელწოდების მილოცვის შემდეგ, სახლში დაბრუნდა:

— ეხლა კი, მგონი, გვეღირსოს, გულის წადილის ასრულება თინა,—სთქვა სახლში შემოსვლის უმალვე გარსევანმა გაბრწყინვებულის, სიამოვნების მაჩვენებელ, პირ მოღიმარ სახით და თან ხელებს ფშვნეტა დაუწყო.

— როგორ, რაზე ამბობ?!. - ყურები ცქვიტა თინამ.

— რამწამ მიუახლოვდი უფროსს მისალოცავად, იმდონ შეყრილ ხალხში სიცილით მომეგება: ოჰ, მოდი, მოდი, ჩემო მომავალო პრისტავოო.

— ეგ სულ მაგრე გატყუებს, გეფერება, მაგრამ შენ ვერ გაგიგია, როგორი ფლიდი, გაიძვერა, ორპირია?!...

— ეხლაც თუ მომატყუა, მერე მე ვიცი,—გაჯავრებული წარმოსთქვა გარსევანმა და აქამდის მოღიმარე სახე უსიამოვნოდ დაიპრანჭა.

— ერთხელ და ორჯერ უთქვამს შენთვის წარდგენილი მყევხარო? მაგრამ საცა ახალი ადგილი დაცლილა, შენ ხახამშრალი დარჩომილხარ?!..

— არა, არა, ეხლა ვიცი აღარ მომატყუებს. X-ს პრისტავი კარგა ხნობით ოტპუსკში აპირობს წასვლას და ვიცი იქ მე გამგზავნის და ბოლოს იმ ადგილსაც მე დამინარჩუნებს.

— ნუ ენდობი მაგას, ქალაქში მისწერე ნაცნობებს შეგიტყონ, მართლა გზავნის შენ შესახებ წარდგენის ქაღალდს შენი უფროსი, თუ არა, თორემ რამდენჯერა ჰყოფილხარ გაგზავნილი დროებით აღმასრულებლად, მაგრამ პირში ჩალა გამოვლებული დავბრუნებულვართ იმ ადგილზე კი სხვა გაუგზავნიათ, დაუნიშნავთ...

ღვთისა წინაშე, უმიზეზოდ არ იყო გარსევანი გულ-ნატკენი, ყოველთვის უფროსების გულის წადილის, ბრძანების თვალის დახამხამებაზე აღმასრულებელი. გარსევანისათვის ჩიტის რძე, რომ შეესახელებინათ, ქვეყანას დასთრაქავდა და მოიტანდა გაუჩენელს გააჩენდა. უნდა გენახათ, გარსევანი როგორ ციბრუტივით დატრიალდებოდა, როდესაც უფროსებს მინდორში, ან მიყრუებულ კუთხეში მოუხდებოდათ წასვლა, რაიმე თანამდებობის მოწერილობის ასრულებისა გამო. —,,ეხლა შენ ხელთა ვართო" ეტყოდნენ გარსევანს, და ამანაც იცოდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვები. მყის გაჩნდებოდა სუფრაზე: შემწვარი გოჭები, მოხრაკული ვარიები, ცივად დედლები, დაქინძული ძმრით ლოქო, კალმახი, მომწვარი, მოხრაკული ბატკანი, ინდოური, ბატი, დეკეულის ხორცი, თუ სხვა ათასი რამ. კახურ ღვინოებს ხომ ნუღარ ეტყვით—ყველა ეს ადგილისა და გარემოების მიხედვით. ბევრი რამ საიდუმლო ჰქონდა დამარხული გულში გარსევანს, აკი ამიტომ, ცოტა არ იყოს, უფროსებთან თამამად ეჭირა თავი. როდესაც წითელ ან კვერცხის გულივით ყვითელ-თეთრ ნუნუას გადაჰხუხავდა ხოლმე გარსევანი, უფროსებთან მეინახეთ მჯდომი წაამლაშებდა ხოლმე.

— ხალხსა ჰგონია, ჩვენთვის გული შესტკივათ და იმისათვის მოსულან აქა, თავი აუტკივებიათო...

-- გარსევან დურმიშხანოვიჩ!!. უფროსი ტუჩებზე ხელს მიიფარებდა და თვალს აუკრავდა გარსევანს, რათა აღვირ წახსნილი ტროიკა, ღვინისაგან გაბედული ენა დაეყენებინა.

გარსევანიც მიჰხვდებოდა თავის შეცდომას და გაჭარხლებული, ენის კვნეტით სხვა საგანზე გადაიტანდა ბაასს. ასე მიდიოდა დრო. მთლად მოეშორებინათ გარსევანი თავიდამ, ვერა ჰბედავდნენ, ამიტომ საცა-კი ადგილი დაიცლებოდა დროებით, გარსევანს იქით უკრავდნენ თავს, ამ სიტყვებით:

— ძალიან ზარმაცი, ზანტი კაცია სერგეი ივანიჩი. თუ ღმერთი გწამს, სანამ თანამდებობას დაუბრუნდება, დარჩომილი საქმეები, ქაღალდები შეუსრულე. უცბად რევიზია არ მოახდინონ და უბედურება არ დაგვატყდეს თავსაო.

მეტი რა ღონე იყო, გარსევანიც ასრულებდა ბრძანებას. სხვაგან, თუ ასაფრენზე იყო ხოლმე გარსევანი ცოტა ხნობით და ხელის დაქნევას ელოდებოდა, №—ს ნაწილში გული ბუდეს დაიდვა, კარგა ხანს უდგნო, დვრიტა მოიკიდა, ფეხი მოიმოძიწკა.

თუმცა თინასაც იმედი ჰქონდა, შეიძლება ეხლა მაინც აგვისრულდეს წადილი და ეს ადგილი ჩემს ქმარს დარჩეს საბოლოოდაო, მაგრამ მაინც აფრთხილებდა ქმარს თავიდამვე.

— ჰა, ძალიან ნუ ენდობი შენს უფროსს. თან ბრძანებანიც აასრულე, თან შენ ჯიბესაც ნუ დაივიწყებო.

ასეთის რჩევის ასრულება, არც თუ გარსევანისათვის იყო ძნელად ასასრულებელი—ბრძანებისა და ჯიბის სამსახურს შორის აქ სრული თანხმობა სუფევდა. არავითარიმე წინაალმდეგობა არ მოსდიოდათ, ძლიერ დაკვირვებული თვალიც კი ვერ შეამჩნევდა აქ ერთის დამცირებას

---

[1] დღეს, როცა ლიტერატურაში, თუ კერძოდ მსჯელობენ ახალგაზრდობის აღზრდის გაუმჯობესობის შესახებ, თვალ წინ ჰყავთ ის ახალგაზრდობის რაოდენობა, რომელსაც ბედმა არგუნა სასწავლებლებში მოქცეულიყო. ის უმრავლესობა კი, რომლისათვისაც სასწავლებელი ფაბრიკა-ქარხანაა ან რომელიმე სავაჭრო სახლი, გარეშე რჩებიან.

თ. ბ.

*) იხ. „ივერია", № 252.

თხოულობს, რომ ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტების სასადილოს ეძლოს 2000 მან. შემწეობა ყოველ-წლივ. ხაზინა აქამდე აძლევს შემწეობას პეტერბურგისა და ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტების სასადილოებს, მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებლისას, სასოფლო-მეურნეობის ინსტიტუტისას ნოვო-ალექსანდრიაში და კიევის უნივერსიტეტისას.

— 23 ნოემბერს საგანგებო კრება იყო დანიშნული სალიტერატურო ფონდისა. მსჯელობა უნდა ჰქონოდათ სახლის შეძენაზედ იაფ-ფასიან სადგურთა გასამართავად მწერალთათვის იმ ფულით, რომელიც შესწირა ფონდს ვ. ს. გოლუბევმა.

— ეგონათ რომ სამუდამოდ მოისპო პეტერბურგში სარწმუნოებრივ-საფილოსოფიო კრებანი და გამოცემა ჟურნალისა «ახალი გზა». ახლა ამ ჟურნალის რედაქტორი აცხადებს, რომ 1904 წლიდან კრებანიც განახლდება და ჟურნალის ბეჭვდაცაო.

- ყაზანის უნივერსიტეტმა გადაიხადა 99 წლის იუბილეი თავის არსებობისა.

— ხაბაროვსკის მეოთხე კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ საერობო დაწესებულებანი იქმნას შემოღებული პრიამურის მხარეში. კრებას დაესწრო 150 კაცი და ერთს არ დაუძრავს კრინტი ერობის შემოღების წინააღმდეგ.

— მოსკოვის ქალაქის გამგეობამ ჩაიბარა განსვენებულ სოლდატენკოვის მიერ შეწირული და გამოცემული წიგნები, რომელიც 150,000 მანეთისაა.

უცხოეთი

იაპონია. პროგრესისტების პარტიაც იაპონიაში ომის მომხრეა. 5 (18) ოკტომბერს ამ პარტიას კრება ჰქონია, რომელსაც დასწრებია 1,800 კაცი. ამ პარტიის მოთავედ გრაფი ოკუნია, რომელმაც კრების სახელით მანიფესტი გამოსცა იაპონიის განვითარებულ საზოგადოებისადმი მიმართული. მანიფესტში როგორც „Нов. Время“ იუწყება სხვათა შორის სწერია:

,,მეტი კამათობა და ბჭობა მანჯურიისა და კორეის შესახებ სრულიად უადგილოა. ორჯერ დანიშნული ვადა მანჯურიიდგან ჯარის გაყვანისა უკვე გავიდა და მხოლოდ 3 დღე-ღა დარჩა მესამე ვადის გასვლამდე. რუსეთმა რავდენჯერმე შესცვალა თვისი დაპირება და ეხლაც არაფრით არ ეტყობა, რომ უნდოდეს მისი აღსრულება. რუსეთი ეხლა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ საომრად მოემზადოს. მისი დაწყებულობანი შორეულ აღმოსავლეთში ნათლად გვიხატავენ მის დიდის ხნის აზრსა და სურვილს—ხელთ იგდოს მთელი აღმოსავლეთი აზიისა. მისი ბატონობა მანჯურიაში, ვითომ და რკინის გზის დაცვისა და ვაჭრობის გაძლიერებისათვის, სხვა არაფერს მოასწავებს თუ არ სურვილს დაიჭიროს საუკეთესო სიმაგრეები. ვითომ ბოქსიორების დამორჩილებას და დაწყნარებასა სცდილობს, საქმით კი თავის აზრის განხორციელების გზას ადგია. განზრახვის დაფარვა შეუძლებელი-ღაა, როდესაც თავის სამფლობელოს თანდათან აფართოვებს. ის იმგვარად მოქმედობს, რომ შიშის ზარი დასცეს ჩინეთსა და კორეას, მარად მშვიდობიანობა დაარღვიოს შორეულ აღმოსავლეთში და ამ გარემოებით მხოლოდ თვით მოითბოს ხელი. ამის გამო პარტიას მტკიცედ სწამს, რომ ბუნებრივი და ზნეობრივი მოვალეობაა იაპონიისა და მის ნაციონალურ პოლიტიკისა არ მოურიგდეს რუსეთის პროგრამას შორეულ აღმოსავლეთის შესახებ. დასასრულ უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთმა თავისი ჯარი შეიყვანა იონამპოში და ეს ხომ მუქარაა და დარღვევა რუსეთ იაპონიის შეთანხმებისა. იგი ყურადღებას არ აქცევს იმ მდგომარეობას, რომელიც იაპონიას უპყრია კორეაში. მისი ახალი მოთხოვნილება, რომელიც ჩინეთს შეუთვალა, იაპონიის შეურაცხყოფაა, რადგან იაპონიამ წინადვე დაიწყო მოლაპარაკება ჩინეთთან იმავე საგნის შესახებ (ჩინეთ-იაპონიის ომის დროს). ყოველივე ეს ისეთ მდგომარეობაში აყენებს იაპონიას, რომ იძულებულ ჰყოფს იაპონია რუსეთს გაუმკლავდეს. უკეთუ საქმე იქნობამდე გამწვავდა, რომ ომით უნდა გადაწყდეს, პასუხის გება მთლად რუსეთს უნდა დაეკისროს. ეჭვი არ არის, რომ მოთმინება და თავდაჭერილობა, რომელიც იაპონიის სახელმწიფოს მმართველებმა აქამომდე გამოიჩინეს, საერთაშორისო ზრდილობიანობასა და მშვიდობიანობის დაცვის სურვილს უნდა მიეწეროს, მაგრამ მათი დინჯი პოლიტიკა და გაუბედაობა აღელვებს მთელს ერს და სასოწარკვეთილებას აძლევს. უკეთუ ამას შემდეგაც იგინი წინანდებულად საქმეს შეაფერხებენ და კვალად ლოდიალს დაიწყებენ და უმნიშვნელო მოლაპარაკებას განაგრძობენ, მაშინ სხვა სახელმწიფოთა ზიზღს გამოიწვევენ და შედეგად მხოლოდ უშედეგო სინანული-ღა მოჰყვება. ეხლა აღარა დარჩენილა-რა იმის მეტი, რომ ერთსა და უკანასკნელ ღონისძიებას მივმართოთ —გაბედულობას. პარტია თხოულობს სახელმწიფოს გამგეთაგან დაადგენ ამ გაბედულობის გზას»

სხვა პარტიებიც იაპონიაში იმგვარსავე მოუთმენლობას იჩენენ. მართებლობა კი ყოველ ღონისძიებასა ხმარობს დაამშვიდოს როგორმე აშფოთებული ხალხი და ჟურნალ-გაზეთობას ურჩევს აღარ გაავრცელონ ხმა საომრად დამზადების შესახებ, რადგან ამით საქმეს ევნებაო. ჯერ სამხედრო მინისტრმა მოიწვია რედაქტორები მოსალაპარაკებლად და საყვედური გამოუცხადა, ხალხს რად აღელვებთო; იმის მაგალითს მიჰყვა ზღვაოსანთა ჯარის მინისტრიც და შემდეგ — საშინაო საქმეთა მინისტრიც. რედაქტორებს დაევალათ კომისია აირჩიონ, რომელიც მთავრობისაგან მიიღებს იმ ცნობებს რაც შესაძლოა დაიბეჭდოს, და ყველა რედაქციებს აუწყებს.

ნარკვევი

გაზ. „კურიერი“-ს რეცენზენტი სწერს თ. სუმბათაშვილის ახალ პიესის შესახებ:

„ქართველთა ხალხი ებრძვის მრისხანე ისლამს, რომელიც ფართო ნაკადულივით მოედო კავკასიასაც. შეიძლება სუმბათაშვილის დრამატიული სურათის ისტორიული დეტალები სწორი არ იყოს, მაგრამ ბრძოლის პსიხოლოგიური სარჩული ნამდვილია და მრავალგვარი ტიპები, სულმდაბალ მოღალატიდან დაწყებული ნამდვილ სტიქიონურ გმირებამდე, ფართოდ და მძლავრის შტრიხებით არის დახურათებული. არის ეპოქები, როდესაც ცხოვრება ჰქმნის ისეთ მდგომარეობასა და კოლიზიებს, რომელთაც ვერ შეჰქმნის თვით უმდიდრესი ფანტაზიაც, და სწორედ ეს ეპოქებია, რომ იძლევა მდიდარ მასალას რომანტიულ პოეზიისათვის.. სუმბათაშვილის ლეგენდა ნამდვილი რომანტიული ნაწარმოებია: მაურებელი ნამდვილისა და ფანტაზიის საზღვარზე არის; ბოლომდე არ ვიცით, თუ რომელი გრძნობა გაიმარჯვებს რენეგატ ოთარ ბეგის გულში—გაიღვიძებს მასში გმირი ქართველი, ერთ დროს თავის თანამოძმეთათვის მებრძოლი, თუ ბოლომდე დარჩება სასტიკ გარყვნილ მონად. იგი ხარბად ეწაფება ღვინოს, საწამებლად ჰგზავნის თავისს ძმებს, სწვავს ეკკლესიებს, სადაც ერთ დროს თვითონ ლოცულობდა. მაგრამ დესპოტ-მონის ბრძანებაში ხანდახან სხვა კილოც გესმის და მხსნელ ცრემლსა გრძნობ. ყოველ დროისა და ხალხის რენეგატები ერთმანეთს ჰგვანან: თანამოძმეების შურს იძიებენ და სურთ სისხლით წაირეცხონ გულის მღრღნელი სევდა. ოთარ ბეგი—ახალი, მშვენიერი ვარიაციაა ამ უკვდავ ტიპისა. რიბაკოვმა დიდის ხელოვნებით წარმოადგინა ეს დრამატიული სახე; რიბაკოვის ოთარი მარტო საზოგადო კაცობრიულ ხასიათის როდია. მას ადგილობრივი ელფერიც აქვს: იგი აღმოსავლეთის რენეგატია; მხურვალე ატმოსფერას, დამათრობელსა და მომქანცველს, შეუპყრია მისი ნების ძალა; ძლიერი ნაკადული უფსკრულისაკენ მიაქანებს და იმედი აღარ არის მის აღდგენისა: იგი გაშეშებულია და აღარ იბრძვის; საჭიროა ახალი ნაკადული, რომ უკანვე მოაბრუნოს იგი.

და როცა ქართველ ხალხის სულმა გაიღვიძა, ოთარ-ბეგი ისეთივე ძლიერი პიროვნებაა თავისუფალ მებრძოლთა შორის, როგორიც თავის დაცემის დროს იყო.

სხვა მოქმედთ შორის ცოტა არ არის ტიპიური ფიგურები. ზეინაბი, საქართველოს ერთგული დედოფალი, სრული ოცი წელიწადი სცხოვრობდა დამცირებასა და პირმოთნეობაში; ოცი წელიწადი ფეხ-ქვეშ უგებოდა მტარვალ სულეიმანს თავისუფლების დღის მოლოდინში; ამ ხნის განმავლობაში ეს ქალი შესანიშნავის ხელოვნებით ჰმალავს თავის ამ საიდუმლო ოცნებას და ხდება ღირსეული თანამებრძოლი ოთარ-ბეგისა. გაიანე მთების თავისუფალი და მშვენიერი შვილია, იგი არ არის შეჩვეული მოტყუილებას და თვალთმაქცობას; გაიანე დაჩაგრულ ხალხის საუკეთესო თვისებათა განხორციელებაა და იგი გახდა სიმბოლო ამ ხალხის განმათავისუფლებელ სურვილებისა. მოხუცი გლეხი ანანია გამოსთქვამს ამ სურვილებს ძალდაუტანებელ იუმორის სახით, რომელიც ასე დამახასიათებელია უბრალო ხალხის წარმომადგენლისათვის, სანჩო პანსოდან დაწყებული სგანარელამდე...

არა მარტო გმირების ფიგურები, თვით საერთო კოლორიტი პიესისა მეტია, ვიდრე ეპოქის განხორციელება. მთელი პიესა არის მძლავრი მოწოდება თავისუფლებისადმი, მოწოდება, რომელიც ისე ძლიერად ისმის, როგორც საპატიმროს თაღებ ქვეშ, სადაც იგი უერთდება ბორკილების ჩხარუნს“.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირას, 25 ნოემბერს, სვ. სვიმონიძის საბენეფისოდ გამართულმა წარმოდგენამ ორნაირი გრძნობა გამოიწვია ჩვენში. ერთი სასიამოვნო, რომ წარმოდგენამ, „ოტელომ“ კარგად ჩაიარა, მეორე-კი საწყენი, უსიამოვნო, საწყენი ის იყო, რომ თეატრი იმ საღამოს ნახევრად ცარიელი იყო და მსახიობი, რომელიც ხუთმეტი წელიწადი ქართულს სცენას ემსახურება, ვერა ჰხედავდა თავის შრომის დაფასებას.

სწორედ მეუწყნარებელია საზოგადოების მხრივ ამისთანა უყურადღებობა, გულცივობა, თუ გინდა იმისთანა პატარა მოღვაწის მიმართ, როგორიც ქართული სცენის მსახიობია.

მართალია, არა გვაქვს ღონისძიება ისე მოვაწყოთ ჩვენი საზოგადო მოღვაწის მდგომარეობა, რომ იგი ქონებრივად უზრუნველ ჰყოს თვით საქმემ, რომელსაც ემსახურება, ვერ მოგვიხერხებია სისტემატიურად ჯამაგირის ან ჯილდოს გაღება, მაგრამ წელიწადში ერთხელ, როცა მაგალითად, მსახიობი თავის სასარგებლოდ წარმოდგენას მართავს იმ იმედით, რომ ცოტათი მაინც დაეხმარება საზოგადოება და საზოგადოება-კი არ ეხმარება,—ეს ჩვენის აზრით, უკიდურესი დაუფასებლობაა შრომისა.

არავითარ პირად სიმპატიებს თუ ანტიპატიებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შრომობს კაცი, სცდილობს შეძლებისდაგვარად საზოგადო საქმეს ემსახუროს და საზოგადოებაც მოვალეა თავისი თანაგრძნობით წაახალისოს იგი.

მაგით აიღსნება, რომ ს. სვიმონიძე, რომელიც კარგი ამსრულებელია თავის როლისა, იმ საღამოს უგულოდ თამაშობდა და ჩვენც არა გვაქვს უფლება ვუსაყვედუროთ ამისათვის. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ოტელოს კარგი ამსრულებელი უპოვნია ჩვენ სცენაზედ.

შექსპირის მიერ შექმნილი ხასიათი ადამიანთა დიდს მომზადებას და შრომას თხოულობს, რომ კარგათ გაპიროვნებული იყოს, იმიტომ რომ იგი თვით ცხოვრებაა, რთული და უნაკლო, იგი უმაღლესი წერტილია, სადამდისაც შემოქმედებას მიუღწევია, სადაც გენიოსის სამეუფოა.

დანარჩენ ცოდვილთ შეუძლიანთ ცოტათ თუ ბევრათ მიუახლოვდნენ გენიოსურ განზრახვათ და ეს-კი, როგორც ვთქვით, დამყარებულია მომზადებაზედ და შრომაზედ. მომზადებულა, უშრომნია ვ. გუნიასაც. მისი თამაშობა ამ როლში დაკვირვებული, შეგნებულია. მსახიობს ეტყობა ბევრი უფიქრია, შეუსწავლია ოტელოს ბუნება და ზოგ-ზოგ ადგილს თითქმის უნაკლულოდ გადმოგვცა ამ საწყალის, გულ-უბრყვილო ადამიანის სულიერი მდგომარეობა, რომლის სიმშვიდისთვის გესლიან იაგოს ეჭვის ცეცხლი წაუკიდებია.

კარგი იყო მსახიობი როდრიგოს და კასიოს ჩხუბის დროს გულ-მოსული, ბუნებრივი იყო თანდათანობითი აღელვება, სულიერ მშვიდობის დაკარგვა.

საერთოდ გუნია კარგი ოტელოა, მხოლოდ რა საჭიროა სიტყვა დეზდემონას უცნაურად დაბოლოვება, სხეულის რხევა.

კარგი იყო ნ. ჩხეიძე-დეზდემონა, კ. ყიფიანი ბრაბანციოს როლში. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს. წარმოდგენა კარგად იყო დადგმული „ოტე-

---

და პეორის ამაღლებას. აქ, მხოლოდ აქ შეიძლებოდა ორთა უფალთა მონება, ორის კურდღლის ფეხდაფეხ, უსუნთქებლივ დაჭერა. არც მწვადი იწვოდა, მოწერილობის მოთხოვნილება სავსებით სრულდებოდა, არც შამფური ჰხვრეტდა ბაჯაღლოებით გატენილ ჯიბეს.

გარსევანისათვის სხვაფრივ მოქმედება ყოვლად შეუძლებელი იყო. ბოქაულობის იმედიც გულს უცისკროვნებდა, მომავალის ბედნიერებას შესტრფოდა და ამავ დროს ერთი გული ეუბნებოდა: „კაცო რამდენჯერ დაბრუნებულხარ გულ დაწყვეტილი,—ეხლა მაინც წაატანე ხელი, რასაც და სადაც მიგიწვდება—ვერა ჰხედავ ტორახ-ტორახი შვილები გახვევიან გარსაო“. მერე კოხტა-პრანჭია თინას რა ფულები გასწვდებოდა.—„მე უბრალოდ არა ვარ აღზრდილიო. წელიწადში ერთხელ-ორჯელ ქალაქში რომ არ ჩავიდე, და არ ავიკანო და ქმარ-შვილიც არ შევმოსო ვერ გავძლებ, ისე როგორ ვიცხოვრო“.—შვილებსაც ყველას გიმნაზიებში უპირებდა სწავლას:—„უი, ქა, მაშ, რაღა მინდა, რომ შვილები სხვა სასწავლებელში მივსცე სადმეო. ისიც მეყოფა, რომ ჩემი ქმარი უბრალო ნასწავლი გამოვიდა და უფროსების წარბის შემხედვარიაო“. ამის პატრონი გარსევანი სხვაფრივ როგორც მოიქცეოდა, თუ ორ წყალ შუა მშრალი არ გავიდოდა ფონში, თავისს წინამოადგილე მელიტონ იაგორიჩ ბოჭორიშვილივით, რომელიც ცისმარე დღეს ქეიფსა და ქაღალდის თამაშში ატარებდა და ამის გამო ფულის საჭიროებამ ქურდების ბადეში გაება. ესეც ხომ იმათ ხელში არ ჩაუვარდება, თავზე არ წამოისვამს. ტიტიკო ნაცვალი რას უკეთებს გარსევანს. „ტიტიკო ჟულიკი მიცხოვრონ თორემ“... გაიფიქრებდა ხოლმე გუნებაში გარსევანი. როდესაც მარტოკანი დარჩებოდნენ, გარსევანი ტიტიკოს ხუმრობით ესე იხსენიებდა: „ჰა, მოხველ, ჩემო ჟულიკო, აბა ახალი რა იციო“. მართლაც ტიტიკოსთანა მოხერხებულად, უჩუმრად და უდუმრად ვინ გაურიგებდა საქმეს გარსევანს. ამიტომაც იყო, რომ ტიტიკო ხშირად დაიარებოდა გარსევანთან, სხვის დაუკითხავად, შინაურულად შეეძლო შესვლა მასთან...

დილის რვა საათია. მზე მაღლა წამოსულა, საკმაოდ ცხელა. აუარებელი ხალხი შეკრებილა ბოქაულის კანცელარიასთან, გარსევანის გამოსვლას, დაძახილს ელიან. საზაფხულო, თეთრ პარუსინის სერთუკში გამოწყობილი, დაბალ-დაბალი, ესე შუა ხნის, აქა-იქ თმა-წვერში ჭაღარა გარეული, ძველ, მაღალ ყელიან წაღებში შავ-შარვალ ჩატანებული კაცი მოუახლოვდა ამ შეკრებილ ხალხს ზანტის ნაბიჯით, ჯოხით ხელში. სევდიან თვალების გამომეტყველებაზე შეატყობდა კაცი, რომ უბრალოდ არ გარჯილა, უსაქმოდ აქ არ მოვიდოდა. ეს იყო აქაური მასწავლებელი სარდიონ დროიძე. სარდიონმა ერთ ხანად ფეხი უკან შეაყენა, მაგრამ, ცოტა ყოყმანის შემდეგ, შეაღო კანცელარიის კარები. კანცელარიაში მწერლის მეტი არავინ იყო. მისალმების შემდეგ სარდიონმა გარსევანი იკითხა, მაგრამ, რადგანაც უთხრეს, მალე გამოვაო, სკამზე ჩამოჯდა და ცდა, ლოდინი დაუწყო.

კანცელარიის მოწყობილებას დიდხანს არ მიუპყრია სარდიონის ყურადღება. ვარაყიან ჩარჩო-შუშებში ჩასმული მეფე-დედოფლის სურათები, კუთხეში ხატი, ორი გრძელი საწერი, ქაღალდებით სავსე მაგიდა, რამდენიმე ჩალის სკამი, ორი სადა შკაფი, ისიც საქმის ქაღალდებით გაჩურთული, ერთ კუთხეში მიყუდებული თოფები და ხანჯლები, ფანჯარაში გასისხლიანებული ცული და ამოღებული ხანჯალი. აი ამ ოთახის მორთულ-მოკაზმულობა. სარდიონი ისევ თავისს ნაღვლიან ფიქრებს მიეცა.

— ეგ ვიღამ მიმტრო და ტყუილად ამბავი მოუტანა, სარდიონსა და კოლას ერთადა აქვთ კუდი-კუდს გადაბმულიო. ღმერთი არ გაუწყრეს და მართლა არ დაიჯეროს, არ დამაბეზღოს ჩემს უფროსებთან, ადგილი არ დამაკარგვინოს და ჩემი ცოლშვილი არ დაღუპოს. ერთხელ ამაგ დავიდარაბას ძლივს გადავრჩი ეხლა რაღა ეგ ელდა და ნაცილი მინდაო.

მართლაც ნაწვენვი აქვს სარდიონს, რა ძნელია ცოლშვილიან კაცისათვის, როდესაც სხვა სახსარი აღარ მოეპოვება ცხოვრებისა, უადგილოდ, უსამსახუროდ დატოვება. ეშმაკურ-ქაჯურით, მასწავლებლობის პირველ ხანში, სარდიონმა მოიწადინა მოწერილ პროგრამის გარეშე, ჯერ დედა-ენა სავსებით შეეთვისებინა ყმაწვილებისათვის, მხოლოდ როდესაც შეგირდებს შეეძლებოდათ ამ ენაზე თავისუფლად აზრის გამოთქმა, წაკითხულის გაგება, მერე მიეყო ხელი სახელმწიფო ენისათვის... მაგრამ მანამ ამ თავის აზრს განახორციელებდა და აჩვენებდა უფროსებს ამ გეგმის უპირატესობას, ნაყოფიერებას, სარგებლობას, ზემოდან მოულოდნელად ალალივით თავს დაეცნენ. წესით ამის შეგირდებს პირველ წელსვე რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა სცოდნოდათ უცხო ენისა, თუნდა ეს სიტყვები თუთიყუშივით, ზეპირად ჰქონოდათ დასწავლილი, მაგრამ გასჭრა დაბეზღებამ, ეჭვი გამართლდა, სარდიონი უადგილოთ დასტოვეს. ბევრი თავი აწყვიტა, შიმშილი, დუხჭირობა გამოიარა ცოლ-შვილით სარდიონმა, გადასწყვიტა ,,თავის დღეში ამ მიქარვას აღარ ჩავიდენ, რასაც მიბრძანებენ, მეც იგრე მოვიქცევიო“ და ძლივს რის წვალება-ვედრების შემდეგ ისევ მიიღო ძველი ადგილი. ასეთ ტანჯვაში ნაწრთობი სარდიონი განა-ღა გაბედავს ხელ-ახლად თავი ხათაბალაში გაიხვიოს, ცხოველ-მყოფელ აზრს, ხალხის, ყმაწვილების სიყვარულს გაეტაცებინოს?.. ამ არ გასამეორებელ მოგონებაში იყო გართული სარდიონი, რომ უცბად შუაგული კარები გაიღო კანცელარიისა და გარსევანი და ტიტიკო გამოვიდნენ ლაპარაკით.

— აბა, შენ იცი, ჩქარა გააჩესტე საქმე და მოდი შემატყობინე, მხარზე ხელის დაკვრით გაისტუმრა გარსევანმა ტიტიკო. მერე მიუბრუნდა სარდიონს და, ცივად ხელის ჩამორთმევის შემდეგ, სკამზე დაჯდა.

— რას გაურჯიხარ, სარდიონ?!—გარსევანი მიუბრუნდა სარდიონს სხვათა შორის და თან ქაღალდებს, ახალ მიღებულ ფოშტას, წერილებს ათვალიერებდა.

— ისე, თქვენთან საქმე მაქვს, მარტოთ მინდა მოგელაპარაკოთ,—ნერწყვის ყლაპვით წარმოსთქვა მძიმედ სარდიონმა.

— ძალიან პატიოსანი,—ცოტა ხანს გარეთ გაისეირნე, გიორგი!.. ამ სიტყვებით გარსევანი მწერალს მიუბრუნდა. მწერლის გარეთ გასვლის შემდეგ ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, სარდიონი ცოტათ შეკრთა, ფერმა გადაჰკრა.

— იცით, გარსევან დურმიშხანთვიჩ,—დაიწყო რის წვალების შემდეგ სარდიონმა, თქვენთვის ტყუილად ჩემს მტრებს მოუტანიათ ამბავი, ვითომც მე და კოლა ამხანაგები ვიყვნეთ, წამწამ-დანაყული დი ერთის ფიქრითა და აზრით გამსჭვალულნი. თქვენც ამ ამბის მოტანის შემდეგ დაგიჯერებიათ ეს ხმები და საყვედური გითქვამთ ჩემზე; ღმერთს გეფიცებით, რომ ეგ ყოველივე ტყუილია, ჭორათ მოგონილი, რომ მე იმ კაცთან არავითარი კავშირი არა მაქვს. რა ვიცი, აი გზათ თუ შემხვდება და ხელს ჩამოვართმევ თორემ, ისე მე იმის ახლოც არ ვეკარები...

— Представьте себѣ,—ფეხზე წამოდგომით ჯავრიანის კილოთი დაიწყო გარსევანმა და თან ხელებს შლიდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა,—მოდი და ნუ გააჩხლდება კაცი, ცეცხლი ნუ მოეკიდება. განა გაგონილა ის, რაც ეგ საქმესა სჩადის?!. იქნება გაიგონე, ყური მოჰკარ მაინც, რომ ყატაანთ ზაქროს საჩივარი სწორედ მაგის ჩაგონებით არის დაწერილი. ტიტიკოს ხომ უჩივის და უჩივის, მეც გადაკრული მაქვს მათრახები, ყველა აქ ჩამოთვლილ ბოროტებას, ავკაცობას ნაცვალი არ ჩაიდენდა, რომ ზურგი პრისტავის აღმასრულებლიდან არა ჰქონდეს გამაგრებულო. მოდი და შენ მაგას ელაპარაკე... ესეც არაფერი... ხალხისათვის ჩაუგონებია—მოხელე, ნაცვალი, მწერალი, გზირი ტყავს გაძრობენ, გძარცვავენო. ეხლა რომ ანგარიშში მოგცათ ნაცვალმა, მწერალმა, იმ ანგარიშში მოგატყუილეს, ას თუმანზე მეტი აქვსთ შეჭმული, თქვენ-კი თვალები აგიხვიეს და ვალიც წამოგკიდეს კისერზეო. ხალხი ასეა აღშფოთებული, ლამის არის მწერალი შუაზე გახლიჩონ, მიწასთან გაასწორონ. ვერ მომიფიქრებია, როგორ დავაშოშმინო...

— რატო არ დადგება, რა მაგის საქმეა ხალხის დავიდარაბაში გარევა?!. საწყალ მაგის მამას სიღარიბისაგან თვალთ უშავდება, ვენახში მუშაობისაგან წელი ვე-

ლო“-ს წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენს სცენაზე შესაძლებელი ყოფილა რიგიან წარმოდგენის გამართვა თუ საერთოდ ყველა ხელს შეუწყობს.

ქ. ყო—ნი.

წერილი
რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის ფურცლებზედ გამოვაცხადო შემდეგი ანგარიში ჩემ მიერ 17 ოკდომბერს გორში გამართულ საღამოსი:

სულ შემოვიდა 240 მანეთი. იქიდან 50 მანეთი გარდავეცი ვაჟთა სასწავლებელს, 75 მ. 40 კ. ქალთა პროგიმნაზიას. დანარჩენი საღამოს გამართვა-მოწყობას დასჭირდა. ამასთანავე გულითადს მადლობას ვუძღვნი ბ. ენგელმანს თავის მეუღლით დაუზარებელ დახმარებისათვის ყალაიჯეს და ყველას, ვინც დახმარებით ან საღამოს დასწრებით ხელი შეუწყეს შეუძლებელ მოწაფეთა დახმარების საქმეს.

კნ. მაკინე ამირეჯიბისა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ნოემბერი.

პეტერბურგი. 25 ნოემბერს პეტრე-პავლეს ტაძარში პანაშვიდი გადიხადეს ღვთივ განსვენებულ ხელმწიფე მემკვიდრის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ბერძენთა დედოფალი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდნი მთავარნი და მთავრინები.

ლონდონი. ფილოსოფოსი ჰერბერტ სპენსერი გარდაიცვალა.

პარიჟი. თავად ურუსოვმა დღეს ჩააბარა პრეზიდენტ ლუბეს გამოსათხოვი წერილები.

სოფია. ვიქტორ-ემანუელმა გარდასცა პრინცესა კლემენტინა კობურგელს 10,000 ფრანკი მაკედონიიდან ლტოლვილთა დასახმარებლად.

იოკოჰამა. კომურსა და როზენს მოლაპარაკება ჰქონიათ, მაგრამ ვერა-რა გადამწყდარა, რადგან რუსეთის ელჩს ახალი ინსტრუქცია არ მიუღია პეტერბურგიდგან.

ბელგრადი. ფინანსთა მინისტრმა თხოვნა შეიტანა, თანამდებობისაგან განმათავისუფლეთო, რადგან მინისტრთა საბჭო არ დაეთანხმა იმის აზრს—სახელმწიფოს ხარჯი შევამციროთო.

ვაშინგტონი. რუზველტმა გარდასცა სენატს დასამტკიცებლად ხელშეკრულობა პანამის არხის გაყვანის შესახებ.

26 ნოემბერი.

პეტერბურგი. «ტორგ. პრომ. გაზეთი» იუწყება: ხმა არის, ვითომ 2 ივნისის კანონის შემოღება დასახიჩრებულ მუშათა დაჯილდოვების შესახებ გადაიდება ერთის წლითაო, ხოლო ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ეს კანონი უეჭველად შევა ძალაში 1903 წლის 1 იანვრიდან. სამხრეთ რუსეთის მთა-მადნის მრეწველთა და აქაურ ქარხნების პატრონთა შუამდგომლობა, გადაიდოს მაგ კანონის შემოღება ერთის წლით, უყურადღებოდ იქმნა დატოვებული.

სტამბოლი. სამოქალაქო აგენტებად რეფორმების ინსპექტორთან მაკედონიაში დაინიშნენ: რუსეთის მხრივ— უფროსი კონსული ბეირუთში დემერლიკი და ავსტრიის მხრივ— ბიულდერი, რომელიც ავსტრიის საელჩოს პირველ დრაგომანად იყო სტამბოლში.

ყარაჩი. სპარსეთის ზღვის პირი რომ მოიარა, კერზონი აქ მოვიდა. ამბობს, მოგზაურობას დიდად ნაყოფიერი შედეგი ექმნებაო.

სოფია. (მთავრობის წარმომადგენლთაგან). საერთო კრებაზე გუშინ და დღეს ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მოხელეთა შესახები კანონის გაუქმების ბრძანებამ. ილაპარაკეს მინისტრებათ ნამყოფებმა გეშოვმა და დანევმა, ეგ ბრძანება უკანონო და წინააღმდეგია კონსტიტუციისა, რადგან შესაძლო იყო მოწვევა საერთო კრებისაო. უმრავლესობის ორატორებმა და მინისტრის პეტკოვმა უპასუხეს, რომ მთავრობას შეეძლო, მაგრამ არ ისურვა კანონისთვის გვერდი აევლო; იგი მოქმედობს აშკარად და არ უნდა, რომ ის მოხელენი, რომელნიც არღვევენ დისციპლინას, კანონს ხმარობდენ ფარად და აბრკოლებდნენ სამსახურის საქმეთა კანონიერ მსვლელობას. კარგად ვიცოდი, რა პასუხის გება მომელოდა უკეთუ უმეტესობა კრებისა ჩემსკენ არ იქმნებოდა, მაგრამ მე მაინც ვამჯობინე კანონი გამეუქმებინა და ბრალდებულის სკამზე დაჯდომა მეკისრნა ვიდრე შემეწყნარებინა ურჩობა მოხელეთა· ახლა ვთხოვ კრებას დაამტკიცოს ის გადაწყვეტილება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექმნება კაბინეტის ბედიღბალზე. კრების უმეტესობამ დაამტკიცა ბრძანება. პეტკოვმა სთქვა, ასალ კანონს წარმოვადგენ მოხელეთა შესახებო.

პეტერბურგის ბირჟა 25 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ. . . .	93,80
ბერლინში 100 მარკაში . . .	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,65
ბირჟის დისკონტი.	.5—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა . . .	99¹/₂ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95,25 გაყ.
5% პირ. შინაგ.მომგ. ბილ. 1864 წ.	457¹/₂ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	345 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . .	291¹/₂ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4¹/₂% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92¹/₈ წვ. გაყ.
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

ლარ აუღია, აუწევნია, ეგ-კი სოფლის საქმეში ეჩხირება არა-მკითხე მიამბესავიაო? წარმოსთქვა ვითომდა კოლას საქციელით გულ მოსულმა სარდიონმა, გულში-კი ფიქრობდა, თავ'ჰი ქვა შენც იხალე იმანაც, ერთმანეთიც დაგიცოფნიათ, დაგიქამნიათ, ოღონდ მე ნუ მრევთ მაგ საქმეში, თავი დამანებეთ, რა ჩემი საქმეა ეგეებიო.

— არა მკითხესავით ერევა სოფლის საქმეებში და აბა უყურე მაგაზე რა მოწერილობაა საიდუმლოდ,—ამ სიტყვებით გარსევანმა საქმის ქაღალდებიდამ, რომელიც განსაკუთრებულ, დაკეტილ მაგიდის უჯრაში ელაგა, ერთი გამოარჩია, ხელში გადაატრიალ-გადმოატრიალა სთუთად, არარაი ევნოს-რაო და ისევ თავისსავე ადგილს მოაქცია.

— რა მოწერილობაა,—იკითხა ცნობის მოყვარეობით სარდიონმა და იმ ქაღალდს თვალი გააყოლა ხარბად.

— სხვაზე საჩივრების გაგზავნა როგორ უნდა, ბოლოს გამოვა ხმა... როგორ მიიღებს მასწავლებლობას, იმასაც მალე დავინახავთ,—ვეღარ მოითმინა გულმოსულმა გარსევანმა, რომ ესეც არ დაეტრაბახნა.

ეხლა-კი მიჰხვდა სარდიონი. გაგებული ჰქონდა, რომ თხოვნა აქვს გაგზავნილი კოლას ყოფა-ქცევის გასწორებისა და მასწავლებლობასაც შუამდგომლობსო. „სწორედ მაგ ქაღალდს რაიმე დამოკიდებულება ექმნება კოლას თხოვნასთანაო“—გაიფიქრა სარდიონმა.

— ეგ კარგი კაცი, საქმე მაგრეც არის და კიდევ...

— Будьте спокойны, თქვენ არხეინათ იყავით,—თავისა დ ხელების ქნევით გააწყვეტინა სიტყვა გარსევანმა, увидитъ какъ отпишу, запляшетъ. Шалишь, братъ, шалишь!!! მოიცა!—თითის ქნევით და მუქარით წარმოსთქა გარსევანმა.

— მაგისი ვიყო, უნდა მოდიოდეს და მუხლებს გიკოცნიდეს, იქნება ჩემს შესახებ გკითხონ რამე და, თუ ღმერთი გწამს არ დამღუპო, ცუდი არა მისწერო რა, რომ ეგები მეც ადგილი ვიშოვნო და ქვეყანაზე ლუკმა პური შევჭამო, საწყალი დედ-მამის შვილი ვარო,—ჩაართყა ქლესურად სიტყვა სარდიონმა. „აბა მიყურე მე, როგორი „благонадежный“ ვარ და შენ კი აქამდის ჩემზე ცუდი შეხედულებისა იყავიო,—და თან ადგა სკამიდან შინ წასასვლელად.

— შენ ეგა თქვი, какой онъ мерзавецъ! შენ ეგ რათ გინდა, ქუდსაც რიგიანად არ მოგიხდის ქუჩაზე, რომ განახოს. ერთი მითხარით, რის პატრონი სჩადის მაგრე?! ბიჭო, რატო შენ ქერქში არ დასდგები, როდესაც ყველგან სახვეწარი გაქვს?! გარსევანმა ეს სიტყვები ისეთის კილოთი და ხელების მოძრაობით წარმოსთქვა, თითქოს ამ წუთში კოლა ამის წინ მდგარიყოს და მას ელაპარაკებაო, მაგრამ მალე ხმა გამოიცვალა, შეხედულებამაც მრისხანე ელფერი მიიღო—Нѣтъ! Я тебѣ покажу!!.

ე. მ—შვილი.

(შემდეგი იქნება).

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 სათამდე და კვირაოით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინ კვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ღვგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1¹/₂-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში . . .	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს. . .	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს . . .	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე . . .	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს .	40 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალას, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე .	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბრამდე 30 კ.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა . . .	11 კ.
„	8 კ.
3 „	96 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე) . .	11 კ.
2 „ (ბარძაყი) . . .	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული) . . .	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	3¹/₂კ.
3 „	3 კ.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 1 დეკემბერს ამა წლისა მის დარბაზში ვაჭრობა იქმნება იჯარით გასაცემად მებაღის სადგომ სახლის აშენებისა სოფ. ავჭალაში, ვარაუდით 1,111 მანათისა და 94 კაპ. ვისაც ვაჭრობა უნდა, შეუძლიან წინადვე გაიგოს პირობები და განიხილოს ხარჯთაღრიცხვა მილის წყალის განყოფილებაში ყოველ დროს დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3—6—1)

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და იყიდება ყველგან
ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.



რ ო ი ა ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრაგებისა.
ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНЯНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—9)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურ.ისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნაღდვილი
„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—26)

Дозволено цензурою Тифлисъ 26 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзэ Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით რედაქტორი ბ. ჟიჟიძე, გამომცემელი ა. ხარაზიშვილი.